

კონკურსი

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან
არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის
თანაშემწეების თანამდებობაზე

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“
საქართველოს კანონის თანახმად, მიმდინარე წლის 6 დეკემბრიდან საქართველოს
ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) აცხადებს ღია
კონკურსს კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი
დამცველის თანაშემწის ორი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

თანაშემწის თანამდებობრივი სარგო – 600 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წამოადგინოს შემდეგი საბუთები:

- ა) განცხადება;
- ბ) 2 ფოტოსურათი; 3/4
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის
(დიპლომი) ასლი;
- ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

შენიშვნა: სასურველია კონკურსში მონაწილეობის მსურველი აკმაყოფილებდეს
შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) ინგლისური ენის ცოდნა;
- ბ) საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;
- გ) ეკონომიკური განათლება;

განცხადება მიიღება 2007 წლის 6 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით,
შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე. გასაუბრება ჩატარდება ა.წ 25-27
დეკემბერს.

მისამართი: ალ. ყაზბეგის 45

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით, ტელ: 31-16-90; 31-14-76.